# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

# ბრძანება №01-09-10/121

ქ. თბილისი 14 09 2020 წ.

სტუ-ის 2020 წლის 20 აგვისტოს N01-09-10/106 ბრძანების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ნაწილობრივ შეიცვალოს 2020 წლის 20 აგვისტოს N01-09-10/106 ბრძანების მე-6 და მე-7 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. - ფაკულტეტების დეკანებმა საერთო სამაგისტრო გამოცდის თითოეული ნაწილისა და სასპეციალიზაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე (საკონკურსო ქულა), მოამზადონ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების საფაკულტეტო დოკუმენტი და შესაბამისი წარდგინება სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ და ჩააბარონ ისინი სწავლების დეპარტამენტს ამა წლის 16 სექტემბერს. რანჟირების საფაკულტეტო დოკუმენტები განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე“;

„7. - სტუ-ის ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმება 2020 წლის 17 სექტემბრიდან 23 სექტემბრის ჩათვლით და 24 სექტემბერს ჩარიცხვის პროექტის წარმოდგენა სწავლების დეპარტამენტში“;

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება განთავსდეს სტუ-ისვებგვერდზე;

რექტორი დავით გურგენიძე